

სამოქალაქო განათლების ტესტი

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელი ტერმინი აღნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთ ფორმას?

ა) უნიტარული;

ბ) სუვერენული;

გ) ლიბერალური;

დ) კონტინენტური.

(1) 2. სამართლის რომელი დარგი არეგულირებს სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ასევე სამართლის ზოგად ნორმებს?

ა) სისხლის სამართალი;

ბ) სამოქალაქო სამართალი;

გ) მუნიციპალური სამართალი;

დ) კონსტიტუციური სამართალი.

(1) **3. რომელ ქალაქში მდებარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო?**

ა) ქუთაისში;

ბ) თბილისში;

გ) ბათუმში;

დ) რუსთავში.

(1) **4. ადამიანის ჩამოთვლილ უფლებათაგან რომელი მოიაზრება სოციალურ უფლებებში?**

ა) სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება;

ბ) ღირსეულ პირობებში შრომის უფლება;

გ) შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება;

დ) მდგრადი განვითარების უფლება.

(1) 5. რომელი ნიშანი არ ახასიათებს ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს?

- ა) ხელისუფლების უზურპაცია;
- ბ) ძალაუფლების დანაწილება;
- გ) ძალაუფლების ლეგიტიმურობა;
- დ) ხელისუფლების შეზღუდვა კანონით.

- (1) 6. რა ეწოდება ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების, წარმოებისა და განაწილების გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ცენტრალიზებულად იღებს?
- ა) შერეული ეკონომიკა;
 - ბ) გეგმიური ეკონომიკა;
 - გ) საბაზრო ეკონომიკა;
 - დ) კოლექტიური ეკონომიკა.

(1) 7. რა ეწოდება საბაზრო ეკონომიკაში კონკურენციის ტიპს, როდესაც ბაზარზე მრავალი ეკონომიკური აგენტი ყიდის მსგავსს, მაგრამ არა იდენტურ საქონელს?

ა) მონოპოლია;

ბ) ოლიგოპოლია;

გ) თავისუფალი კონკურენცია;

დ) მონოპოლისტური კონკურენცია.

(1) 8. სქემა ასახავს მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობებს. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?

	უფლებები	მოვალეობები
მოქალაქე	ჯანსაღ გარემოში ცხოვრება	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა
	ქვეყნის მართვაში მონაწილეობა	?
სახელმწიფო	სამხედრო სამსახურში გაწვევა	ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა
	კანონების მიღება	სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფა

ა) მეწარმეობა;
 ბ) გადასახადების აკრეფა;
 გ) კანონის დამრღვევთა გამოვლენა და დასჯა;
 დ) კულტურის ძეგლებისა და გარემოს გაფრთხილება.

(1) **9. რომელი განმარტება გადმოსცემს მართებულად სტერეოტიპის ცნებას?**

ა) ცალკეული ადამიანების გამორჩევა ინდივიდუალური ნიშან-თვისების საფუძველზე;

ბ) ცალკეული ადამიანის შეფასება სოციალურ მიხედვით მისი ღირებულებების თანხვედრის ნიადაგზე;

გ) სხვა ადამიანების განსჯა წინასწარ ფორმირებული და განზოგადებული წარმოდგენების ნიადაგზე;

დ) ადამიანების შეფასება საზოგადოებაში მათ მიერ მოპოვებული სტატუსის გათვალისწინების გარეშე.

(1) **10. რომელი მსჯელობაა მართებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ?**

- I. ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს, მხოლოდ დაცვის მხარისა და ბრალდებულის ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში;
- II. ნაფიცი მსაჯულები მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას ბრალდებულის გამართლების ან დამნაშავედ ცნობის შესახებ;
- III. ნაფიცი მსაჯული აირჩევა სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა და აქვს იურიდიული განათლება.

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) სამივე მსჯელობა.

(1) **11. რომელი საერთაშორისო დოკუმენტი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1989 წლის 20 ნოემბერს?**

- ა) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ბ) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია;
- გ) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- დ) ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია.

(1) **12. კონფლიქტურ სიტუაციაში კომპრომისული ქცევის მოდელის გამოყენება გულისხმობს:**

- ა) საკუთარი ინტერესების დათმობას მეორე მხარის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ამგვარად ჰარმონიის შენარჩუნებას;
- ბ) თანაბარი ძალაუფლების პირობებში საკუთარი და სხვისი ინტერესების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, ურთიერთდათმობას;
- გ) მეორე მხარესთან შედარებით მეტი ძალაუფლების პირობებში საკუთარი ინტერესების აქტიურ დაცვას და მეორე მხარის ინტერესების უგულებელყოფას;
- დ) მეორე მხარესთან შედარებით ნაკლები ძალაუფლების პირობებში, დროის მოგების მიზნით სიტუაციისაგან დისტანცირებასა და პრობლემის იგნორირებას.

(1) **13. რომელია სტრატეგიული დაგეგმარების დროს სწორად შედგენილი ინდიკატორი კომპანიის ეკონომიკური პროგრესის შესაფასებლად?**

ა) წლევანდელთან შედარებით მომავალ წელს არნახული ზრდა გვექნება ჩვენი კომპანიების რაოდენობის მხრივ;

ბ) მომავალ ხუთ წელიწადში ჩვენს საკუთრებაში არსებული კომპანიების რაოდენობა სამჯერ გაიზრდება წლევანდელთან შედარებით;

გ) მიმდინარე წელს ბაზარზე არსებულ კომპანიებს შორის ჩვენი კომპანიები დიდ წარმატებას აღწევენ, მათი მცირე რაოდენობის მიუხედავად;

დ) გასულ წელთან შედარებით მომავალი სამი წლის მანძილზე ჩვენს საკუთრებაში არსებული კომპანიების დიდი ნაწილი უკეთესად იმუშავებს.

(1) 14. საქართველოში მოქმედებს სამთავრობო ელექტრონული პორტალი, რომლის გამოყენებით მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ ელექტრონული ----- . ამგვარად მოქალაქეები საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ იმ საკითხის მიმართ, რომელიც მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება. 10 000 ხელმოწერის მოგროვების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას აქვს პორტალზე ოფიციალური პასუხის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება.

ა) პეტიცია;

ბ) კონვენცია;

გ) პუბლიკაცია;

დ) მემორანდუმი.

(1) 15. სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის პოლიტიკური შეხედულებების გამო, საკუთარი ქვეყნის იძულებით დატოვების შემთხვევაში უცხოელს შეუძლია საქართველოში თავშესაფრის მოთხოვნა. თუ გადაადგილებული პირი დააკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაშინ ის მიიღებს ----- სტატუსს და სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს.

ა) დევნილის;

ბ) ლტოლვილის;

გ) რეზიდენტის;

დ) დივერსანტის.

(1) 16. რა იდეას გამოხატავს მოცემული ილუსტრაცია?



- ა) კლიმატის ცვლილებას;
- ბ) ინფორმაციის სიჭარბეს;
- გ) ფინანსურ ინვესტირებას;
- დ) ეკოლოგიურ კატასტროფას.

(1) **17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:**


ერთ-ერთ ქალაქში მშობლებმა საკუთარი შვილები სკოლაში არ გაუშვეს. მათი აზრით, სკოლა მათ ბავშვებს არასაჭირო ინფორმაციას მისცემდა, რის გამოც, შესაძლოა, მათი შვილები ოჯახის ტრადიციების წინააღმდეგ წასულიყვნენ. მშობლები მიიჩნევდნენ, რომ სახლის პირობებში არსებული სირთულეების გადალახვით შვილები შეიძენდნენ ყველა იმ უნარს, რომლებიც მათთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა როგორც ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ასევე პროფესიული განვითარებისთვის.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია სპეციალურ სახელმწიფო სამსახურებს დაუკავშირდა შემდგომი რეაგირებისათვის.

რომელი შეფასებაა სამართლებრივი თვალსაზრისით მართებული?

- ა) სახელმწიფო აბსოლუტურ თავისუფლებას აძლევს მშობლებს, რომ შვილის აღზრდაში გამოიყენონ მათთვის მისაღები ნებისმიერი მეთოდი;
- ბ) არასამთავრობო ორგანიზაცია უკანონოდ მოიქცა, რადგან არ აქვს ოჯახის საქმიანობაში ჩარევის უფლება;
- გ) ოჯახური ტრადიციის დაცვა-შენახვა მნიშვნელოვანია მაშინაც კი, თუკი იგი არღვევს კანონით მონიჭებულ უფლებებს;
- დ) განათლების მიღების უფლება კონსტიტუციითაა აღიარებული და მშობელი პასუხისმგებელია ბავშვის განვითარებაზე.


(1) 18. დიაგრამა ასახავს 2019-2020 წლებში ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მიხედვით პირველ ათეულში მყოფ სახელმწიფოთა მონაცემებს:



რომელი მსჯელობა არ შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ყველა მოცემული სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტი მოცულობა გაიზარდა;
- ბ) 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა იაპონიაში უფრო გაიზარდა, ვიდრე ჩინეთში;
- გ) 2020 წელს ინდოეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ გაერთიანებული სამეფოს მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობას გადაუსწრო;
- დ) 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა სხვა ქვეყნებზე მეტად გაიზარდა.

(1) 19. დიაგრამაზე მოცემულია საქსტატის 2020 წლის გენდერული სტატისტიკა „დასაქმებულთა განაწილება სამუშაოზე დაკავებული პოზიციების მიხედვით“:



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირთა შორის გენდერული ბალანსი სხვა სფეროებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად არის დაცული;
- ბ) დასაქმების მსურველ ქალებს შორის მენეჯერების პოზიციაზე მოთხოვნა უფრო ნაკლებია, ვიდრე დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებისა და ამწყობების პოზიციაზე;
- გ) სპეციალისტი-პროფესიონალების პოზიციაზე უფრო მეტი ქალი მუშაობს, ვიდრე კაცი, ხოლო სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების პოზიციაზე კაცები სჭარბობენ;
- დ) კაცების დასაქმების მაჩვენებელი ხელოსნებისა და მონათესავე სფეროების მუშების პოზიციაზე უფრო დაბალია, ვიდრე ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების პოზიციაზე.

(1) 20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ კითხვას:

ბევრი ადამიანი, მათ შორის განვითარებულ სახელმწიფოებში, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ქალთა მიმართ უთანასწორობას ასახელებს. ეს უთანასწორობა გულისხმობს ქალების მიმართ ისეთი ტიპის ქცევას, რომელიც განსხვავდება კაცების მიმართ ქცევისაგან და ამ უკანასკნელთათვის უპირატესობის მინიჭებას მოიაზრებს. ამის ნათელი მაგალითია ზოგიერთი კვლევა, რომელიც ცხადყოფს, რომ მოპოვებითი მრეწველობიდან მიღებული სარგებელი მამაკაცებსა და ქალებზე არათანაბრად ნაწილდება. ხშირ შემთხვევაში, მამაკაცებს უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი სარგებელზე, რამდენადაც მათ ქალებისგან განსხვავებული როლები ეკისრებათ. გაეროს კვლევის თანახმად, საქართველოში მოპოვებით მრეწველობაში დასაქმებულ ქალთა ოდენობა მხოლოდ 10%-ია, ხოლო იმ თემში, სადაც სამთო-მოპოვებით მრეწველობას მისდევენ, ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი 87%-ია.

სქესის მიხედვით პროფესიების განაწილება დაფუძნებულია არა უმუშაოდ ამ პროფესიის თავისებურებებზე, არამედ სხვადასხვა წარმოდგენაზე, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებობს სქესებთან დაკავშირებით. ზოგან არსებობს წარმოდგენა, რომ ქალებს გარკვეული სამუშაოების შესრულება ფიზიკურად არ შეუძლიათ. ზოგან კი მიიჩნევენ, რომ გარკვეული სამუშაოების შესრულება კაცებისათვის ან ქალებისათვის შესაფერისი არ არის.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობა წარმოადგენს ფაქტს?

- ა) ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებები არ აძლევთ მათ მსგავსი სამუშაოს შესრულების საშუალებას;
- ბ) მოპოვებითი მრეწველობიდან მიღებული სარგებელი ქალებსა და კაცებზე არათანაბრად ნაწილდება;
- გ) ქალთა მიმართ არსებული უთანასწორობა მსოფლიოში ყველაზე მთავარი გამოწვევაა;
- დ) ქალებს ზოგიერთი სამუშაოს ფიზიკურად შესრულება არ შეუძლიათ.

(1) **21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:**

„უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია. თუ მაქვს წიგნი, რომელიც განსჯას შემიცვლის, მოძღვარი, რომელიც სინდისის მაგივრობას გამიწევს, ექიმი, რომელიც დიეტას ჩემ ნაცვლად განსაზღვრავს და ა. შ. – მაშინ საკუთარი ძალისხმევა აღარ მჭირდება. არ მჭირდება აზროვნება, თუ შემიძლია ფულის გადახდა – სხვები ჩემ მაგივრად შეასრულებენ მოსაბეზრებელ სამუშაოს. მეურვეები, რომლებმაც ასე კეთილად აიღეს საკუთარ თავზე ზედამხედველობის საქმე, იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა სიმწიფისკენ გადადგმული ეს რთული ნაბიჯი საშიშადაც ჩათვალოს. მას შემდეგ, რაც მეურვეებმა საკუთარ შინაურ პირუტყვს ჯერ ჭკუა გამოაცალეს და საგულდაგულოდ უზრუნველყვეს, რომ ეს მშვიდი არსებანი ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამენ საბავშვო ეტლის გარეშე, რომელშიც ჩაკეტილნი არიან – ყოველივე ამის შემდეგ ისინი მათ საფრთხეს აჩვენებენ, რომელიც ემუქრებათ, თუ მარტო გავლას შეეცდებიან. არადა, ეს საფრთხე ასე დიდი სულაც არაა, რადგან რამდენიმე დაცემით ისინი საბოლოოდ სიარულს ისწავლიდნენ. მაგრამ ამ სახის მაგალითი ადამიანებში გაუბედაობას იწვევს და მათ, ჩვეულებრივ, შიშის გამო სხვა მცდელობებისგან ხელს ალებინებს.“

იმანუელ კანტი, „რა არის განმანათლებლობა?“


რომელი მსჯელობაა მართებული ტექსტიდან გამომდინარე?

- ა) შიში ეხმარება ადამიანს, გადალახოს წინააღმდეგობები და მიაღწიოს დასახულ მიზნებს;
- ბ) ის, ვისაც ფული აქვს, შეძლებს სხვადასხვა მომსახურების მიღებას, რაც მას ბევრ დროსა და ენერჯიას დაუზოგავს;
- გ) უმწიფრობაში ყოფნა ადამიანს ათავისუფლებს საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობისგან და მას არაკომფორტულ მდგომარეობაში ამყოფებს;
- დ) მეურვეები ცდილობენ, ადამიანები უმწიფრობაში ამყოფონ და არ მისცენ მათ დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება.

ინსტრუქცია


რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს 2017 წელს ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



1. მექსიკა; 2. კანადა; 3. პერუ; 4. კოლუმბია; 5. ბოლივია; 6. ესპანეთი;
 7. საფრანგეთი; 8. ისლანდია; 9. ალჟირი; 10. ლიბია; 11. კონგო; 12. ანგოლა;
 13. ნამიბია; 14. საუდის არაბეთი; 15. რუსეთი; 16. მონღოლეთი;
 17. ჩინეთი; 18. ინდოეთი; 19. ავსტრალია; 20. ახალი ზელანდია.

მონაცემი არ არის



(1) **22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების ხარისხი:**

- ა) ესპანეთში უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთში;
- ბ) ალჟირში უფრო დაბალია, ვიდრე კოლუმბიაში;
- გ) ავსტრალიაში უფრო დაბალია, ვიდრე მექსიკაში;
- დ) საუდის არაბეთში უფრო მაღალია, ვიდრე ნამიბიაში.

(1) **23.** რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები ადამიანის უფლებების ხარისხის კლების მიხედვით?

ა) საფრანგეთი, პერუ, კონგო;

ბ) ლიბია, ანგოლა, ბოლივია;

გ) კანადა, ინდოეთი, მონღოლეთი;

დ) ახალი ზელანდია, ისლანდია, ჩინეთი.

(1) **24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

- ა) ჩრდილოეთ აფრიკაში ადამიანის უფლებები უფრო ნაკლებად დაცულია, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში;
- ბ) ცენტრალურ აზიაში ადამიანის უფლებები უფრო დაცულია, ვიდრე სამხრეთ ამერიკაში;
- გ) ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მსგავსი ვითარებაა;
- დ) ავსტრალიასა და ოკეანეთში ადამიანის უფლებები უფრო ნაკლებად არის დაცული, ვიდრე აფრიკის ცენტრალურ ნაწილში.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) **25. დაამყარეთ შესაბამისობა სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხებსა და მონაწილეობის დონეებს შორის:**

მონაწილეობის ხარისხი	მონაწილეობის დონე
<p>ა) მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობა, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე კონტროლისა და გავლენის მოპოვების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.</p> <p>ბ) პრობლემური საკითხის გადაჭრის გზებზე განსხვავებული აზრების მიწოდება და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის შესაძლებლობა.</p> <p>გ) საკუთარი პოზიციის დაფიქსირება იმისდა მიუხედავად, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ხარ ჩართული.</p> <p>დ) თვითორგანიზებით ისეთი ჯგუფის შექმნა, რომელიც პრობლემის გადაჭრას საკუთარი ძალებით ახერხებს და არ ექვემდებარება რაიმე ზეწოლას.</p> <p>ე) გადაწყვეტილების მიღების შესახებ ობიექტური ცნობების მიღება.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შიდა ინიციატივა 2. აზრის გაზიარება 3. ინფორმირება 4. გარე ინიციატივა 5. კონსულტაცია

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალეზა № 26

მოქალაქის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში

მოქალაქე ყოველთვის არ ასრულებდა იმ როლს, რომელსაც ის თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ასრულებს. მაგალითად, აბსოლუტურ რესპუბლიკაში ყველაფერს წყვეტდა მეფე, ხოლო მოსახლეობა ჩამოშორებული იყო პოლიტიკური პროცესისაგან. როგორც წესი, ასეთი ტიპის სახელმწიფოში, მმართველებს ძალაუფლების პროკლამაციას ანიჭებს არა ხალხი, არამედ წარმოდგენა ზეზუნებრივი არსების შესახებ.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს დაუგროვდათ უკმაყოფილება ამა თუ იმ მმართველობის ფორმის მიმართ, რის გამოც პერიოდულად რევოლუციებს ჰქონდა ადგილი. რევოლუციების შედეგად გავრცელება დაიწყო მმართველობის დემოკრატიულმა ფორმამ, რამაც მოქალაქეებს მისცა საშუალება, თავად მოეწყოთ საკუთარი ყოფა-ცხოვრება. დემოკრატიაში განასხვავებენ ირიბ და წარმომადგენლობით დემოკრატias. წარმომადგენლობითი დემოკრატის დროსაც შესაძლებელია მოქალაქეთა მაღალი ხარისხით ჩართვა პოლიტიკურ პროცესში. მაგალითად, პრობაციის შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეები საერთო სახალხო გამოკითხვისას აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კანონის ძალა ენიჭება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეების მშვიდობიან თანაცხოვრებას ერთიან პოლიტიკურ ველში განაპირობებს ის, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საზოგადოების წევრებს განსხვავებული აზრისა თუ შეხედულებებისადმი. თუ საზოგადოება ტოლერანტულია და არ იჩენს ინოვატორულ დამოკიდებულებას, რაც

უცხო სადმი შიშს ან სიძულვილს ნიშნავს, მაშინ ასეთი საზოგადოება უფრო ღიაა და მრავალფეროვანი, ხოლო მასში ცხოვრებაც უფრო მშვიდობიანია.

საბჭოთა კავშირის დროს მოქალაქე პოლიტიკურ პროცესებში პასიურ როლს ასრულებდა. არჩევნებიც კი ფორმალური იყო, რამდენადაც მასში მხოლოდ ერთი, კონსერვატიული პარტია იღებდა მონაწილეობას. საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა 1989 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ნებით გაიმარჯვა ეროვნულმა ხელისუფლებამ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო 1992 წელს კონსტიტუციის მიღება, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს მოქალაქის ის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობისათვის.

აქტიური მოქალაქეობის ერთ-ერთი გამოვლინებაა საკონსტიტუციო სასამართლო, მასში მონაწილეობისას რიგითი მოქალაქე თავად ირგებს მოსამართლის მანტიას და ერთვება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. თუმცა, ზოგიერთი პროფესიის ადამიანისთვის ამ როლის შესრულება შეზღუდულია, მაგალითად, გამომძიებლისთვის, ფსიქოლოგისთვის და ასევე სასულიერო პირისთვისაც.

სურვილის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე. მაგალითად, კენჭი იყაროს საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატად სამი წლის ვადით.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, უფლებების გარდა, თითოეულ მოქალაქეს ასევე გარკვეული ვალდებულებებიც გააჩნია. მაგალითად, მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გადაიხადონ გადასახადები, რომლებიც სახელმწიფო გრანტების შევსების ძირითადი წყაროა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფოს ფულადი შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველ იურიდიულ დოკუმენტს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (№27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება № 27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

გლობალურმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა შეცვალა ადამიანების, მათ შორის, მოსწავლეების ცხოვრების ჩვეული წესი. იზოლაციისა და კარანტინის სპეციალური რეგულაციების გამო ადამიანები ნაკლებად იყვნენ დაკავებული სპორტით, ნაკლებად უთმობდნენ დროს აქტიურ დასვენებას, რამაც წარმოქმნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, მათ შორის, ინტერნეტ და ტელე დამოკიდებულება.

პროექტის მიზანი:

სასკოლო თემში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ამოცანები

(დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)

I ამოცანა:

II ამოცანა:

განხორციელების გზები

(დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)

I ამოცანის განხორციელების გზა:

II ამოცანის განხორციელების გზა:

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (№28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება № 28



- (1) 28.1 რისი სიმბოლოა სასწორიანი ფიგურა?
- (1) 28.2 რა მოვლენას ასახავს ილუსტრაცია?
- (2) 28.3 რა ნეგატიურ შედეგს იწვევს ილუსტრაციაზე ასახული მოვლენა? იმსჯელეთ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (№29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული, ხოლო აზრი - დასრულებული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება № 29

გავრცელებული პანდემიის ფონზე არსებობს განსხვავებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა მოქალაქეთა ვაქცინაცია სავალდებულო.

- A. დაასახელეთ სავალდებულო ვაქცინაციის მომხრეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.
- B. დაასახელეთ სავალდებულო ვაქცინაციის მოწინააღმდეგეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.

ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (№30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომლებსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.


დავალება № 30

წყარო N1



წყარო N2

წარწერა საბეჭდო მანქანაზე: ტირანის მტერი,
ხალხის მეგობარი



წყაროებზე გადასვლა: [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#) [30.3-30.7](#)

წყარო N3

„ვადიარებ, რომ პრესის თავისუფლებისადმი არ განვიცდი იმ სრულ და მყისიერ სიყვარულს, რასაც თავისთავად ბუნებით კეთილი მოვლენების მიმართ განიცდიან. მიყვარს იმის გამო, რომ ის უფრო მეტად ხელს უშლის ბოროტებას და არა იმ სიკეთეთა გამო, რაც მას მოაქვს.

თუ ვინმე აზრის სრულ დამოუკიდებლობასა და მის სრულ დამონებას შორის შუალედურ პოზიციას დამანახებდა, რითაც იმედი მომეცემოდა, რომ შეჩერებას შევძლებდი, შესაძლოა, იქ გავჩერებულყავი, მაგრამ ვინ აღმოაჩენს ამ შუალედურ პოზიციას?“

ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, 1835–1840 წლები.

წყარო N4

„ზოგიერთ ერში, თავს თავისუფალ ხალხად რომ მოიაზრებენ, ხელისუფლების ნებისმიერ მოხელეს შეუძლია დაუსჯელად დაარღვიოს კანონი, ამ ქვეყნის კონსტიტუცია კი ამ დროს დაზარალებულს უფლებას არ აძლევდეს სასამართლოს სარჩელით მიმართოს. ასეთ ხალხებში პრესის თავისუფლება აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც თავისუფლების ერთ-ერთი ძლიერი გარანტი, არამედ იგი უნდა აღიქმებოდეს იმ სუსტ იმედად, რაც მათ თავისუფლებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოებისგან დარჩენიათ.“

ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, 1835–1840 წლები.

წყარო N5

„ქვეყანაში, სადაც ღიად ბატონობს ხალხის სუვერენიტეტის დოგმა, იქ ცენზურა არა მხოლოდ საფრთხეს წარმოადგენს, არამედ დიდი აბსურდიცაა.

როდესაც თითოეულ პიროვნებას ანიჭებ უფლებას, რომ მართოს საზოგადოება, უნდა ცნო მისი უნარი, არჩევანი გააკეთოს იმ განსხვავებულ მოსაზრებათა შორის, რომლებიც აწუხებს მის თანამედროვეებს და შეაფასოს განსხვავებული მოვლენები, რომელთა ცოდნაც მას შესაძლოა სახელმძღვანელოდ გამოადგეს.“

ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, 1835–1840 წლები.

წყარო N6

„გუშინდელი ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება დღეს ისე იცვლება, ხვალ ისე. გავა რამდენიმე ხანი, ჩვენთვის მოკლე თუ გრძელი, მაგრამ ქვეყნიერების არსებობისათვის წუთზედაც უზომოდ უმცრესი და რაც გუშინ, შარშან, იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნება კვალიც აღარსადა ჰჩანდეს იმისი.

ასე, გუშინდელი, შარშანდელი ან ცოტა კიდევ იმის უწინარესი ჩვენი დამოდღვრება, ჩვენი დამრიგებლობა და სწავლება უკან ჩამოგვრჩნენ და ჩვენ რომ შეუფერხებლად წინ მივალთ, რაღას მოგვეწევია. იმათ ფეხში სხვა რიგი არის ახლა ჩამდგარი, სხვა წესი, სხვა ძალა. ეს მიგვიძღვის ახლა წინა, ამას მივდევთ და ასე მიმავალნი თითქო ჩვენც უფრო თვალ-ახილვით ვმოდრაობთ, ჩვენს საკუთარს პირადს მსოფლიოობასა ვჰგრძნობთ, უფრო გულდასმით და ყურისგდებით გარშემო ვიყურებით და საზოგადო მოძრაობას მივდევთ.

რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოდღვრებელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე? ეს არის სტამბა! ეს არის ბეჭდვა! უყურნალოთ, უგაზეთოთ რიღას მაქნისი ვართ ახლა?“

დიმიტრი ყიფიანი, „დროების“ 10 წლისთავის გამო, 1876 წელი.

(1) **30.1 დიმიტრი ყიფიანის ტექსტის მიხედვით:**

- ა) თანამედროვეობა წარსულის გამოცდილებას უნდა იზიარებდეს წინსვლისთვის;
- ბ) სამყაროში ახალი არაფერი ხდება, ამიტომ წარსული სიბრძნე აქტუალობას არასდროს კარგავს;
- გ) დროსთან ერთად ბევრი რამ იცვლება და ეს ცვლილება აუცილებლად უნდა აისახოს კანონმდებლობაში;
- დ) ცვლილებები, რომლებსაც საზოგადოება დროსთან ერთად განიცდის, მოითხოვს მისი ძირეული პრინციპების მუდმივ გადახედვას.

(1) **30.2 N3 წყაროში ალექსის დე ტოკვილი თვლის, რომ:**

ა) პრესას უფრო მეტი ბოროტება მოაქვს, ვიდრე სიკეთე;

ბ) ადამიანები პრესას სასიკეთო მოვლენად აღიქვამენ და მის მიმართ ყველა სიყვარულს განიცდის;

გ) პრესის თავისუფლება აბსოლუტური ღირებულებაა, რამდენადაც ის ცალსახად სიკეთის მომტანი რამ არის;

დ) მიუხედავად იმისა, რომ პრესას სიკეთეები მოაქვს, მისი არსებობა უფრო მნიშვნელოვანია ბოროტების შესაჩერებლად.

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.3-30.7](#)

- (2) 30.3 N1 წყაროს გამოყენებით იმსჯელეთ, რა როლს ასრულებს მედია დემოკრატიულ სახელმწიფოში. დაასახელეთ კიდევ ორი პრინციპი, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიისათვის.
- (2) 30.4 N2 და N6 წყაროს გამოყენებით მოიყვანეთ ორი არგუმენტი მედიის თავისუფლების დასაცავად.
- (1) 30.5 N4 წყაროში საუბარია პრესის თავისუფლებასა და მოქალაქეების უსაფრთხოებას შორის არსებულ კავშირზე. ახსენით, როგორ უკავშირდება ეს ორი რამ ერთმანეთს.
- (2) 30.6 იმსჯელეთ, როგორ აფასებს N5 წყაროში ალექსის დე ტოკვილი ქვეყანაში ცენზურის არსებობას და რა არგუმენტი უდევს საფუძვლად მის შეფასებას.
- (2) 30.7 იმსჯელეთ, როგორ ხედავს N3 წყაროში ალექსის დე ტოკვილი შუალედური პოზიციის შესაძლებლობას აზრის სრულ დამოუკიდებლობასა და მის სრულ დამონებას შორის. რა არგუმენტით გაამყარებდით ავტორის პოზიციას აღნიშნულ საკითხზე?

წყაროებზე გადასვლა: [1-2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#)

დავალებებზე გადასვლა: [30.1](#) [30.2](#)